

თურქეთის ახლო აღმოსავლური პოლიტიკა: ისტორიული
მემკვიდრეობა და ახალი გამოწვევები

ნუივარ ისმაილოვა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ნუივარ ისმაილოვა

20.06.2019

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ეძღვნება იმ ფაქტორების შესწავლას, რომლებმაც გავლენა მოახდინეს თურქეთის ნეიტრალური პოლიტიკის ცვლილებაზე ახლო აღმოსავლეთის მიმართ XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში. 1990-იანი წლები გარდატეხის პერიოდს წარმოადგენს თურქეთის ისტორიისთვის, ვინაიდან აკადემიკოსების და მკვლევარების დაინტერესება თურქეთის საგარეო პოლიტიკით სწორედ ამ ეპოქით იწყება. ამიტომაც ეს პერიოდი ცნობილია „ყველაზე გრძელი ათწლეულის“ სახელით. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილება ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში მრავალი მკვლევარის ინტერესის საგანი გახდა, ძირითადად ვხვდებით საკითხის რომელიმე კონკრეტულ დონეზე კვლევას, რაც არ იძლევა ერთიან, სრულფასოვან სურათს მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორებისა. სწორად ამიტომ მოცემული კვლევა ჩატარდა ანალიზის სამ დონეზე: ინდივიდუალური, სისტემური და საერთაშორისო. საკვლევი თემისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა ნათლად აჩვენებს ამ დონეების ურთიერთქმედების აუცილებლობას. მიღებულმა შედეგებმა ნათელი გახადა სამივე დონეზე კვლევის გარდაუვლობა მოცემულ საკითხში. ლიდერის როლი, სისტემური ცვლილებები ხელისუფლებაში და საერთაშორისო მდგომარეობა მოქმედებს თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილებაზე. შედეგები გვიჩვენებს რომ, მხოლოდ სხვადასხვა დონეებზე არსებული ფაქტორების ერთობლიობა განსაზღვრავს ახალ საგარეო პოლიტიკას და რომელიმე მათგანი ცალკე აღებული არაა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე.

საკვანძო ტერმინები: ახლო აღმოსავლეთი; ანალიზის დონეები; თურქეთი

Abstract

The thesis studies the factors which have influenced the changes in Turkey's policy of neutrality toward the Middle East at the end of the 20th century and the early 21th century. The 1990s, which is considered to be a turning point for the history of Turkey, provoked the significant interest of academics and researchers in Turkey's foreign policy. This period is known as the "longest decade". Despite the fact that the change in Turkey's foreign policy toward the Middle East has become the main subject of many researchers, the existing studies do not give a complete picture of its key determinants due to the fact that they are only based on analysis of the single particular level of the research. That is why the following research is conducted on three levels of analysis: individual, systemic and international. Choosing constructivism as the main approach of the study reveals the importance of interaction among the three given levels of analysis. The results of the thesis once again underline the inevitability of studying the topic on all three levels. Leader's role, systemic changes in power and changes in international situation influence the formation of Turkey's new foreign policy. In conclusion, it must be pointed out that only the combination of factors on three different levels determine changes in Turkey's foreign policy while studying them separately does not provide flexibility for solving the research problem.

Key terms: Middle East; Levels of Analysis; Turkey